გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 161

2022 წლის 9 სექტემბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

დღეის მდგომარეობით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №12 დადგენილებით დამტკიცებული ,,გორის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის დებულების" საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უნებართვო საქმიანობის კონტროლის განყოფილება უზრუნველყოფს გარკვეული ფუნქციების შესრულებას, მათ შორის: გარე რეკლამის განთავსების, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესების, გარე ვაჭრობის, ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენას და მათი არსებული წესით შესაბამისობაში მოყვანაზე კონტროლს; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოო-დაწესებულებების, ორგანიზაციების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის დაცვაზე კონტროლს, შენობა-ნაგებობების ფასადების, გზის საფარის, გარე განათების, მიწისქვეშა გადასასვლელების, გამწვანებული ტერიტორიების, ვიტრინების, კომუნიკაციების, ჯიხურებისა და ჭების, ინფრასტრუქტურული მეურნეობის სხვა ელემენტების ტექნიკურ-ესთეტიკურ მდგომარეობას; ზედამხედველობას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული წარმოება-დაწესებულებების, ორგანიზაციების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ განხორციელებულ შემდეგ საქმიანობაზე: დანგრეული, დაუმთავრებელი ან დამთავრებული სამუშაო ტერიტორიის აღუდგენლად მიტოვება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების დაზიანება ან თვითნებური გაჩეხვა, სამშენებლო ან შესაკეთებელი სამუშაოების ჩატარების დროს ტერიტორიის დაზიანება; უკანონო, უსახური და ამორტიზებული ჯიხურების, მანქანა-დანადგარების, დახლების, სარეკლამო, სავაჭრო და საინფორმაციო სტენდების, დაფების, ფირნიშების, აბრების, აფიშების, პლაკატებისა და სხვა სარეკლამო ატრიბუტების უკანონო განთავსების ფაქტების გამოვლენა, მათი აღკვეთისა და სადემონტაჟო ღონისძიებების განხორციელება; მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით კონტროლის განხორციელებას კეთილმოწყობის წესებისა და გარე იერსახის დაცვაზე; წინადადებების მომზადებას ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობისა და გარე გაფორმების ელემენტების (მონუმენტურ-დეკორატიული, მცირე არქიტექტურული ფორმები, ტრანსპორტზე

განთავსებული რეკლამა, გარე რეკლამა) მხატვრული იერსახისა და განთავსების საკითხებთან დაკავშირებით კომპეტენციის ფარგლებში და კანონით დადგენილი წესით. დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, ნარჩენების მართვის კოდექსით და საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას.

გარდა ამისა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ზოგიერთ ფუნქციას ახორციელებენ მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირები. კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის №30 დადგენილებით გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების წესების დარღვევებზე კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს" (ს/კ 418471068). გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 ნოემბრის №46 დადგენილებით მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევასა და რეგულარული სამგზავრო გადაყვანის შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებაზე კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება გადაცემული აქვს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს" (ს/ნ 418475992). არის გარკვეული ფუნქციები, რომლებსაც, მისი განხორციელების სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ დრომდე ვერცერთი მუნიციპალური დაწესებულება/ორგანო ვერ ახორციელებს ეფექტურად, მაგალითად დღის საათებში ან ღამის საათებში საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ან საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებაზე კონტროლი.

ზემოაღნიშნული ფუნქციების განხორციელების პროცესზე პრაქტიკული დაკვირვებისა და დაკვირვების შედეგების გაანალიზების შედეგად, ა(ა)იპ-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერია მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია წინამდებარე განკარგულებაში მითითებული ფუნქციები შეასრულოს სპეციალურად ამ ფუნქციების განხორციელების მიზნით შექმნილმა არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირმა, ვინაიდან ა(ა)იპ-ი მუნიციპალიტეტის ზემოაღნიშნული უფლება-მოვალეობებს უფრო მოქნილად, სწრაფად და ეფექტურად განახორციელებს, ხოლო გორის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უნებართვო საქმიანობის კონტროლის განყოფილება, იმ ფონზე, რომ მისი ფუნქციების ნაწილს ა(ა)იპ-ი განახორციელებს და მას უფრო ნაკლები საქმის შესრულება მოუწევს, გაცილებით სწრაფად და ეფექტურად შეასრულებს დარჩენილ უფლება-მოვალეობებს. აღსანიშნავია, რომ საჯარო უფლებამოსილებების განხორციელების მსგავსი პრაქტიკა არსებობს საქართველოს სხვა მუნიციპალიტეტებშიც, მაგალითად, შექმნილია და ფუნქციონირებს: ა(ა)იპ „ქუთაისის მუნიციპალური ინსპექცია", ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია", ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალური ინსპექცია", ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალური ინსპექცია".

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 106^1 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ხოლო ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. მუნიციპალიტეტის საკრებულო თანხმობას გასცემს ამ პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობაზე, რაც არ გულისხმობს საქართველოს

კანონმდებლობით გათვალისწინებული სარეგისტრაციო განაცხადის და მასზე თანდართული დოკუმენტების მოწონებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებთ, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გორის მუნიციპალური ინსპექცია“.

საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „გორის მუნიციპალური ინსპექცია“.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე